ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5431943

ნომერი: AR1828295

თარიღი : 26.05.2021

გაცემის თარიღი : 02.06.2021

გაცნობის თარიღი : 02.06.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 38;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე საზონოვი პ/ნ 01014001024
- თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ.III შეს.#5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _
-წარმოდგენილი მინდობილობა ვადაგასულია. საჭიროა წარმოდგენილ იქნას, მესაკუთრის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული ვადაში მყოფი მინდობილობა.
-როგორც სს „საქართველოს რკინიგზის“ წერილიდან ირკვევა, ღობის მოწყობის საკითხი აუცილებლად უნდა იქნეს შეთანხმებული გვერდით მდებარე მისასვლელი ლიანდაგების მესაკუთრეებთან. წარმოდგენილი შპს „მაგისტრალმშენის“ თანხმობა გაცემულია მშენებლობის პერიოდში მათი მიწის ნაკვეთის გავლით, სამშენებლო მასალის გადატანაზე. თანხმობა არ არის გამოხატული ღობის მშენებლობაზე, შესაბამისად საჭიროა წარმოდგენილ იქნას მისი განახლებული თანხმობა ს/კ: №01.11.04.026.090 ღობის მშენებლობასთან დაკავშირებით. ასევე საჭიროა წარმოდგენილ იქნას, 01.00.563 ლიანდაგის თანამესაკუთრის შპს „ენ-თე-ენის“ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული თანხმობა.
-გაითვალისწინეთ: მიწის ნაკვეთი შეიძლება შემოიღობოს არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით, ამასთან, ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს 1,8 მეტრს. საჭიროა აღნიშნულის შესაბამისად დაკორექტირდეს საპროექტო ფოტომონტაჟი (დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით).
-დამატებით წარმოსადგენია უახლესი სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა თარიღის მითითებით.
-ასევე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი სქემა სამსახურის მიერ გადაგზავნილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, სადაც დოკუმენტაციას დაუდგინდა გარკვეული სახის ხარვეზები, ხარვეზების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში (წერილის ნომ.:#16-01211523567 ).

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.